



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
ექსპერტი

წევრები:

ეთერ ბროლაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,

ნინო ფაილოძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

თამილა თამაზაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ინგა ჯაფარიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ეთერი ივანელაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ლია ნადირაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეოდორა ლემონჯავა- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლია სვიმონიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჯოჯიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241572570

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარელი
ფაქტობრივი მისამართი	ყვარლის მუნიციპალიტეტი. სოფელი სარუსო
საფოსტო ინდექსი	4802
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1329?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Saruso@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(577)12 23 07

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 24 0000574920, 24/05/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 17 და 18 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი. სოფელი სარუსო, შენობა-ნაგებობების რაოდენობა-ერთი
2	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი. სოფელი სარუსო, შენობა - ნაგებობების რაოდენობა-ერთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 17 და 18 ივნისს სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია ბუაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

- 2.ეთერ ბროლაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
- 3.ნინო ფაილოძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
4. თამილა თამაზაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ინგა ჯაფარიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
- 5.ეთერი ივანელაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
- 6.ლია ნადირაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
- 7.თეოდორა ლემონჯავა- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
- 8.ლია სვიმონიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
- 9.ალექსანდრე ლაცაბიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
- 10.ნინო ჯოჯიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ:

17 ივნისს, teams-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 18 ივნისს- teams-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი გაესაუბრა შესაბამის საფეხურზე შემავალ ყველა საგნის ექსპერტს და საკუთარი მიგნებები გაუზიარა თითოეულ საგნობრივ ექსპერტს. ორივე დღეს, სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ, შედგა ექსპერტების გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც მოხდა მოსაზრებების შეჯამება. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია გაუზიარა შესაბამისი საგნების ექსპერტებს, რაც გათვალისწინებულ იქნა საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ჩეკლისტების შევსებისას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.



წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას) სკოლა არის ერთცვლიანი.

მოსწავლეთა რაოდენობა: 90	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	
--------------------------------	--	--

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ	02.09.2024-02.09.2025 პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის/ექთნის მომსახურების უზრუნველყოფა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის

	ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებულ გეგმის შესაბამისად;	განვითარების შემუშავების გეგმა.
ინდიკატორი 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სასურველია, სკოლამ დაგეგმოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მეტად ეფექტური მექანიზმები
ინდიკატორი N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების ეფექტური მექანიზმები.
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სასურველია, სკოლამ კომპიუტერული ლაბორატორია განათავსოს პირველ სართულზე.
ინდიკატორი 3.6.3.5.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სასურველია, სკოლამ გონივრულ ვადაში ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ამსახველი ინფორმაცია.
ინდიკატორი 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს უფრო ეფექტიანი მექანიზმები კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით



	მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N....</i>		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი,საბაზო)	რჩევა
<i>ინდიკატორი N2.1.2.1</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; (ტექნოლოგიები,დაწყებითი საფეხური)	ტექნოლოგიების ექსპერტის მოსაზრებით, დაწყებითი საფეხურის ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმები(ტექნოლოგიები) არ არის მორგებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საათობრივ დატვირთვას საათობრივი ბადის ცვლილების შესახებ.
<i>ინდიკატორი 2.1.2.4</i>	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; (საბუნებისმეტყველო მეცნიერება, დაწყებითი)	დიფერენცირებული სწავლების უზრუნველსაყოფად სასურველია, მოხდეს დავალებების მოდიფიცირება და მოსწავლეებს შესთავაზონ დავალებები მათი შესაძლებლობების მიხედვით, ასახონ მკაფიოდ აქტივობებში როგორც და რა სახით ახდენენ დიფერენცირებას.
<i>ინდიკატორი 2.1.2.2</i>	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; (საბუნებისმეტყველო მეცნიერება,დაწყებითი საფეხური)	აქტივობები, უმჯობესია ,იყოს მრავალფეროვანი,მოსწავლის ინტერესებზე მორგებული.ასევე დაწყებით საფეხურზე არის კლას-კომპლექტი შექმნილი და მნიშვნელოვანია, დაგეგმილი აქტივობებით ხელი არ ეშლებოდეს რომელიმე კლასის სასწავლო პროცესს.
<i>ინდიკატორი 2.1.2.3</i>	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	სასურველია,საგნობრივ კურიკულუმებში გამოყენებული მრავალფეროვანი რესურსები აღიწეროს სრულყოფილად.



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; (მათემატიკა, დაწყებითი საფეხური)	
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; (ესთეტიკა, დაწყებითი საფეხური)	სასურველია, სკოლამ კლასკომპლექტებში, ნაცვლად ცალ-ცალკე დამუშავებული ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმისა, გააერთიანოს კურიკულუმები, რათა ორივე კლასისთვის მოდიფიცირებული და გაერთიანებული კურიკულუმით უფრო მოქნილად და ეფექტურად იმართებოდეს სასწავლო პროცესი და უფრო აქტიურად გამოიყენებოდეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საბაზო)	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში უკეთ აისახოს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხური)	სასურველია, მითითებული მულტიმედია რესურსებში დეტალურად ჩაიშალოს, თუ რა იგულისხმება აღნიშნულში. მაგ: აკუსტიკურს, ვიზუალურს, ტექსტურს თუ გრაფიკულს, ყველას ერთად, კომბინირებულად.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები--საბაზო საფეხური)	სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა გამოიყენონ დამატებითი ვირტუალური ლაბორატორია, საგნის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის ასამაღლებლად.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა	სასურველია, სკოლამ უზრუნველოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაძლების ინვენტარით, მოეწყოს გამწოვი კარადა



	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები--საბაზო საფეხური)	
--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა. სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და შეესაბამება მას. სკოლის **მისია** - მოზარდების პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა და განვითარება. რათა ისინი ჩამოყალიბდნენ განათლებულ მოტივირებულ თაობად, რომლებიც იზრუნებენ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესის უწყვეტ განვითარებაზე, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებასა და დაცვაზე, შეძლებენ კომუნიკაციას ინდივიდებთან და ჯგუფებთან და იქნებიან კანონმორჩილი, ტოლერანტი თავისუფლად მოაზროვნე სრულფასოვანი მოქალაქეები.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოაჩენს სკოლის როლს თემში. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოებაში უსაფრთხოებასა და პიროვნულ განვითარებაზე და ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ვლინდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით და სხვადასხვა მრავალფეროვანი პროექტის განხორციელებით. სკოლა უზრუნველყოფილია კამერებით, რომელთა ხედვის არეშია სკოლის შიდა და გარე სივრცე. სკოლის პრიორიტეტია გარემოზე ზრუნვა, ჩართულია ისეთ პროექტებში, როგორებიცაა ეკოსკოლა და ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია. სკოლაში ფუნქციონირებს დებატების კლუბი, საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან თანამშრომლობით; სკოლა ჩართულია საქართველოს კინემატოგრაფიის ორგანიზებით განხორციელებულ საერთაშორისო პროექტ „ისტორია-კინო-ისტორია“, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პორტალის „ფინედუს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და პროექტებში და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში. შექმნილია თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მხარდამჭერი ჯგუფი.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების, შემუშავების მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მასწავლებელი, მშობელი და საბაზო საფეხურის მოსწავლე. შემუშავებული კითხვარის საშუალებით გამოკითხულია სასკოლო საზოგადოება. ჯგუფის მიერ შესწავლილია სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები. მათი გათვალისწინებით დაზუსტებულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც, შეიძლება სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, როგორც სტრატეგიული გეგმის ნაწილი, შეითანხმდეს სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცდეს პედაგოგიურმა საბჭომ.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ გამოიხატება შემდეგში: სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებამდე სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის საშუალებით მათი მოსაზრებების შესწავლა და გაზიარება; სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავება, დირექტორის მიერ განსახილველად და შესთანხმებლად სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა; საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ კი პედაგოგიური საბჭოს მხრიდან მისი დამტკიცება. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან სწორედ პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა კრებების საშუალებით. დოკუმენტი გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება როგორც სასკოლო სასწავლო, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმებში; საჯაროდაა ხელმისაწვდომი: ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის გასაჯაროების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც სკოლას მინიჭებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ N448 ბრძანებით, როგორც - სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- შევსებული კითხვარები
- მშობელთა კრების ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს; ასევე განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამავე წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარების პროცესში.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად. სკოლის სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. არსებულ სამოქმედო გეგმაში აღწერილია ამოცანები, რომელთა მიზანია: მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. ორგანიზაციული განვითარება.

გასული სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, რომლის გაანალიზების შედეგად ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების გასაჯაროების მექანიზმებს. ანგარიში წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და ვადებიც რეალისტურადაა მითითებული.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტრატეგიული მეთოდოლოგია

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

სამუშაო ჯგუფის ოქმი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას.

სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს:

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში განხორციელდება ყოველ 3 წელიწადში, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე; ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანის, აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას სკოლის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. საერთო ანგარიშის მომზადებაში ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და დასაქმებული პირი. მაგ., საქმისმწარმოებლის, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. ვინაიდან სკოლა გადის პრველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორები ვერ ხორციელდება, თუმცა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს ის, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. ანგარიში იქნება გასაჯაროებული სასკოლო სივრცეში და სკოლის სოციალურ გვერდზე. ინფორმაციის გამოთხოვა შეეძლება დაინტერესებულ პირს განცხადების საფუძველზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. განვითარების ხედვა დაწყებულია დაგეგმვის ეტაპიდან, დაგეგმვის ეტაპზევეა გამოკვეთილი გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმები და ორიენტირები. რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, მისი განხორციელების შედეგების გაანალიზება სკოლის მიერ მოხდა გასული სასწავლო წლის ბოლოს და მის საფუძველზე დაიგეგმა ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ამგვარი მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე დაწესებულებას აქვს სანდო მტკიცებულებები პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია;

სტრატეგიული გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სარგებლობს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელშიც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების ფუნქცია- მოვალეობები. სკოლის მართვის დემოკრატიული მიდგომები დაცულია სკოლის ყველა სტრუქტურაში. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: 1) დირექცია: დირექტორი და ბუღალტერი;

2) ადმინისტრაცია: საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი; ტექ პერსონალი: 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, ექიმი. პედაგოგიური საბჭო: 13- უფროსი, 2- წამყვანი, და 2- ინკლუზიური განათლებაში ჩართული პრაქტიკოსი სპეცმასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა, სამეურვეო საბჭო. დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარების ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, თამბაქოს მოხმარების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი, ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სასწავლო და სააღმზრდელო პროცესსა და მატერიალურ-ტექნიკურ საჭიროებებს მონიტორინგს უწევს დირექტორი. სკოლამ წარმოადგინა დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულები. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებითა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით რეგულირდება სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულისა და დასაქმებულების დაკონკრეტებული გავლენის სფეროები, რეგულაციები და წესები ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა საშემსრულებლო კულტურასა და პასუხისმგებლობას. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა;

სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სკოლის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები;

სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი .

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;

სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესი მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოაა გაწერილი მათი უფლებები და მოვალეობები. შიდა წესები, რომელსაც არეგულირებს შინაგანაწესი, სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომლის მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა: მაგალითად, მასწავლებლის სკოლაში გამოუცხადებლობის ან საავადმყოფო ფურცელზე გასვლის შემთხვევაში დროულად ხდება მისი ჩანაცვლება სხვა მასწავლებლით; ასევე საჭიროების დადგომისთანავე ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის შერჩევა: მაგალითად, მე-6 სსსმ მოსწავლის შეფასებისთანავე მოხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მე-2 სპეციალური მასწავლებლის შერჩევა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საშტატო განრიგის შეთანხმებისთანავე გამოცხადდა ვაკანსია სკოლის დარაჯის, ექიმის შესარჩევად და ა. შ. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს უწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის შინაგანაწესში არის გაწერილი მუხლები, რომლებშიც ნათლად არის მოცემული ინფორმაცია

დასაქმებულის სამუშაო კვირის ხანგრძლივობის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში დასაქმებულებზე გახსნილია პირადი საქმე, პირად საქმეში ინახება შემდეგი დოკუმენტები: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, სივნი, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, ფოტოსურათი; ყველა მასწავლებელს აქვს ცნობები ნასამართლობისა და სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; სერთიფიკატები. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსის მიხედვით; კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომელიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს თითოეულ კანდიდატს. საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი). პერსონალის შერჩევის დროს გამოყენებულია შეფასების კრიტერიუმები. პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული და გასაგები.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ მოთხოვნებს. ამ ეტაპზე სკოლაში დასაქმებულია 2 წამყვანი, 13 უფროსი და 2 პრაქტიკოსი (სპეციალური მასწავლებელი) მასწავლებელი და ერთი მოწვეული სპორტის მასწავლებელი. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ტექნიკურ პერსონალს ასევე აქვს საჭირო კვალიფიკაცია, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სკოლის წარმატება და ხარისხიანი განათლება პირდაპირ უკავშირდება პერსონალის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაცია დიპლომის მიხედვით არის მკურნალი ექიმი, თუმცა არ ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერთიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“ ან „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, სკოლის ექიმი ფლობდეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერთიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“ ან „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. გეგმის მიხედვით, 02.09.2024-02.09.2025 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის/ექთნის მომსახურების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად შესაბამისია.

5. სკოლაში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე: საგნობრივმა კათედრებმა ერთმანეთის დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმები; კათედრებმა შექმნეს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, შეარჩიეს სასწავლო რესურსები; პედაგოგიურ საბჭოზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის განხილვა, სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება და დამტკიცება; სამოქმედო გეგმის დამტკიცება... სამეურვეო საბჭო, რომელიც არის კოლეგიალური ორგანო, აქტიურად ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს. ყოველ წელს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ინვენტარიზაციის კომისია.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი: მაგალითად, ყოველ წელს ტარდება მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია, რომელზეც სკოლის მასწავლებელი აქტიურად მონაწილეობენ. სკოლაში ხშირად ხდება მასწავლებლის წარმატებების აღიარება, წინა წლის შეჯამების შემდეგ ხდება წარმატებული მასწავლებლების გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციაში და სასწავლო წლის დასაწყისში საზეიმო ღონისძიებაზე მათი დაჯილდოება, ბრძანებით მადლობის გამოცხადება, სიგელების გადაცემა. ა.შ.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შრომითი ხელშეკრულებები;

თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შინაგანაწესი;

სიგელები; ბრძანებით გამოცხადებული მადლობები;

ბრძანებით დამტკიცებული დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დოკუმენტაცია.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანის რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელშიც გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ. ხარისხის განვითარების ჯგუფს შემუშავებული აქვს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრების განრიგი. განსაზღვრული ინტენსივობით აკვირდება შესაბამისი სტატუსის მასწავლებლებს, ახდენენ საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის, მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების), მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევენ მას განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, მასწავლებლის სკოლაში მიღების წესის შემუშავება, მასწავლებლისთვის ტრენინგების ჩატარება. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ხდება მასწავლებლების მიერ სასურველი ტრენინგის შერჩევა, რომლის გავლაშიც დირექცია ასრულებს მხარდამჭერის როლს. სკოლის დირექცია ახორციელებს კათედრებისთვის საჭირო რესურსების შეძენას. სკოლა მასწავლებლებს უზიარებს მეთოდურ სახელმძღვანელოებს. სკოლას აქვს გამოცდილება ბუღალტერს დასჭირდა პროფესიული განვითარება, სკოლამ დაუფინანსა ტრენინგის ხარჯები. სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების საჭიროებებზე შემუშავებული გეგმა. ამ ეტაპზე სკოლა გეგმავს შეიმუშაოს პერსონალის განვითარების შემუშავების გეგმა.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს პერსონალის კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული ისეთი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგების წინსვლასა და განვითარებას გამოცდილების გაზიარებით, ე.წ. „კრიტიკული მეგობრით“, ურთიერთდასწრებით. სკოლას დირექტორის ბრძანებით მამიებელი მასწავლებლისთვის განსაზღვრული ჰყავს ტუტორი; ასევე დამსაქმებელს ხელშეკრულებით აქვს განსაზღვრული, რომ დასაქმებულმა უნდა იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, სკოლა უწყობს ხელს პედაგოგებს დარეგისტრირდნენ მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დარეგულირებულია სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები... სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებას, კერძოდ: სკოლის დათვალიერება, სკოლის კულტურის გაცნობა, მისი ფუნქცია - მოვალეობების და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა, ინფორმირება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების შესახებ. თანამშრომლებისთვის წარდგენა. Eflow, Eschool -ის ბაზებში დამატება. სკოლის დახურულ სოციალურ ჯგუფში დამატება. ა.შ

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით. სკოლა გამოიყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლაში 4 წელია ფუნქციონირებს დებატების კლუბი, საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან თანამშრომლობით. კლუბის

ხელმძღვანელს პროფესიული განვითარების თვალსაზრისით უხდება ტრენინგებში მონაწილეობა. სკოლა მხარს უჭერს ფინანსურად და საჭიროების შემთხვევაში გზავნის მივლინებაში, რათა დაესწროს ტრენინგებს.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მადლობის ბრძანება N2-33(15.09.2023წ.)

ადამიანის რესურსების მართვის პოლიტიკა;

ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

ხარისხის ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა. შიდა ხარისხის მართვის სისტემა, ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ხდება მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა; სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის მუდმივ განვითარებაზე: სკოლის თითოეული თანამშრომელი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს იმ მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, სკოლის მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს, ახორციელებენ, შემდეგ იაზრებენ რა გამოუვიდათ, რა უნდა შეცვალონ და მომდევნო წლის კურიკულუმს ისე შეიმუშავებენ.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებულია და აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; კერძოდ: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის განვითარება და მართვა; კარიერული განვითარება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და პირობები, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები.

აღნიშნულ პროცესებს ახორციელებენ სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და სასკოლო საზოგადოება. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტები.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა რეგულირდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი გასაჩივრების პროცედურები და დაინტერესებულ მხარეს სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის საჭირო ნაბიჯების შესახებ, მაგალითად, რა ფორმით, და ვის წარედგინება საჩივარი, რა სავალდებულო ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საჩივარი, ვის ევალება და რა ვადებში უნდა მოხდეს საჩივრის განხილვა და ა. შ. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური წარმოება წარმართულია დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლასა და პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლთან დადებული ხელშეკრულებით. შემუშავებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. გასაჩივრების პროცედურას არეგულირებს სკოლის შინაგანაწესში არსებული მუხლი განცხადებისა და საჩივრის განხილვის შესახებ.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

გასაჩივრების დეტალური პროცედურები;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ანგარიში;

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

შინაგანაწესი;

გასაჩივრების პროცედურები;

მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი და დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ამას გარდა, სკოლა უზრუნველყოფს საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობას სკოლის ვებ გვერდზე ატვირთვითა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებით. უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრებს მშობლებთან, მათგან უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების მიზნით. სკოლას უკუკავშირის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია კითხვარების გამოყენებით მშობელთა აზრის გაგება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე. ვინაიდან სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის 100% ავარელები არიან, მშობლების უმეტესობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. სასურველია, სკოლამ დაგეგმოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მეტად ეფექტური მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

ბრძანებება საჯარო ინფორმაციის ვებ გვერდის მართვაზე უფლებამოსილი პირი;

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

მშობლის კითხვარი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლის უსაფრთხოებას ემსახურება უფლებამოსილი პირი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია ბავშვთა უფლებების დაცვაზე, რასაც არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა. სკოლის შინაგანაწესის მკაცრი დაცვა უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებას. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ეზოს მორიგე მასწავლებელი და დამლაგებელი პასუხისმგებელია უცხო პირთა შემოსვლაზე.

სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; 2022 წელს მოხდა სკოლის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლის საფუძველზე სკოლამ მიიღო გარკვეული

რეკომენდაციები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლამ იმავე წელს შეასრულა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ, სახურავში ხის კონსტრუქციები დამუშავდა ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, შედგა საევაკუაციო გეგმა, გადაიმუხტა ცეცხლმაქრები. ამ დროისათვის სკოლას შესასრულებელი აქვს რიგი რეკომენდაციები, რომელთა აღმოსაფხვრელად არ აქვს საჭირო რესურსი. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ფინანსური დახმარების თაობაზე სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს: წარუდგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს სკოლის შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა შეტყობინება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ექსპერტიზის დასრულების შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. გეგმის მიხედვით, სკოლამ 20.03.2024- 14.06.2024 პერიოდში უზრუნველყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, შეთანხმება და დამტკიცება:

26.02.2024-14.06.2024 პერიოდში სკოლამ უზრუნველყო შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით და შესაბამისი რესურსებით, როგორებიცაა: საკაცე, რეზინის სათბური, ყინულის ბუშტი, ფიქსატორი, ინჰალატორი, რეზინის ლახტი და ა.შ. მათაში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. სკოლას ჰყავს ექიმი. მისი ვალდებულებაა სკოლის მოსწავლეების პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ექიმი აფასებს ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეს და იმის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების შესახებ. დროულად აწვდის ინფორმაციას მშობელსა და დირექციას მოსწავლის მდგომარეობის შესახებ; საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლების გამო (საჭიროების შემთხვევაში). სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებით მიმართვებს აღრიცხავს ჟურნალსა და სააღრიცხვო ფორმაში. ექიმი პერიოდულად ახორციელებს სამედიცინო შემოწმების ღონისძიებებს. ბავშვებში გავრცელებული დაავადებების დროული აღმოჩენისა და პრევენციის მიზნით. ზედამხედველობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესრულებას. სხვადასხვა ღონისძიებებს პირად ჰიგიენასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, მაგნე ჩვევების შესახებ და ა.შ.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სასკოლო დროს მორიგე მასწავლებლებთან ერთად ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. უფლებამოსილ პირს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და გააჩნია საჭირო კომპეტენცია. სკოლას ჰყავს ასევე ორი დარაჯი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა

და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის; ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს და ა. შ. ამასთან სკოლა აღჭურვილია სამეთვალყურეო კამერებით როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები და ამ ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის თანამშრომლები იცნობენ ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის გარემოებებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს, თუმცა ამ დრომდე სკოლის მხრიდან არ ყოფილა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) შემთხვევა. სკოლის ინფრასტრუქტურა, დიდი, ნათელი საკლასო ოთახები, ეზო, აივნები და დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის დამლაგებელი პასუხისმგებელია სკოლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაზე, სკოლის ექიმი კი - სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. სკოლაში წყლის მიწოდება ხდება ჭაბურღილიდან, მუდმივად სავსეა წყლის რეზერვუარი, უწყვეტად მიწოდება წყალი, რომელიც გამოიყენება სველ წერტილებსა და სამედიცინო კაბინეტში. სველი წერტილები აღჭურვილია ხელის დასაბანი საშუალებებით, ტუალეტის ქაღალდით, ხელსახოცებითა და თხევადი საპნით. საერთო სარგებლობის სივრცეებში განთავსებულია დახურული ნაგვის ურნები. ორივე სართულის დერეფნებში, ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში განთავსებულია სადებიზინფექციო ხსნარები. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც უზრუნველყოფდა სკოლის ეზოს დასუფთავებას. სკოლას ჩატარებული აქვს წყლის ბაქტეროლოგიური კვლევა. სკოლის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ აწვდის დამრიგებელი მშობლებსა და ბავშვებს ყოველი წლის დასაწყისში.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, მაგალითად: ელექტრონული ბაზის წარმოება, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება, ელექტრონული ბაზისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. სკოლას დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი; აქვს აღებული ვალდებულება, დაიცვას მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები, როგორც ფიზიკური სახით არსებული, ისე ელექტრონული ფორმით. საქმისმწარმოებელს და დირექტორს აქვთ ინდივიდუალური პაროლი ელექტრონულ სისტემაში მუშაობის; არსებობს დაცული ოთახები, სადაც ინახება მატერიალურად დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. სკოლის დირექტორი სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებას წარმოუდგენს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ანგარიშს. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების ეფექტური გზები.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უსაფრთხოების პოლიტიკა (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა);

განცხადება და ხელშეკრულება სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან;

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მიწერილი წერილი დანართები: პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. სახანძრო

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ბრძანება- სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი.

მრჩეველთა საბჭოს ოქმი. დირექტორის ანგარიში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ექიმის დიპლომი და ხელშეკრულება.

წყლის ბაქტეროლოგიური კვლევის ანალიზი ბრძანებით განსაზღვრული თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე, უკონტაქტო ზედ.

დათვალიერებაზე პასუხისმ. პირი.

რეფერირების პროცედურები და პასუხისმგებელი პირი.

წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი იძლევა საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას. სკოლას უზურფრუქტის წესით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობებით. უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 52.08.32.105; ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია: 4199.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით N1- 1470.3 კვ.მ. N2- 59.2 კვ.მ. N3- 36 კვ.მ. სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან უვადოდ.

სკოლა სამსართულიანია. პირველ სართულზე არის სარდაფი, ხოლო დანარჩენი ორი სართული გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. მოწყობილია: დირექტორის ოთახი, კანცელარია, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სველი წერტილები გოგოებისათვის/ვაჟებისათვის და ადაპტირებული სველი წერტილი; სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც

განთავსებულია 9 პერსონალური კომპიუტერი; სკოლაში არის 9 საკლასო ოთახი, რომლებშიც ყველა ბავშვისთვის არის მერხი და სკამი(სულ 90 მერხი და სკამი),დაფა, მასწავლებლის მაგიდები და სკამები.სკოლის სხვადასხვა სივრცეში საჭიროებისამებრ განთავსებულია 24 ლეპტოპი,2 პრინტერი და 2 პროექტორი. სკოლას აქვს სივრცე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისათვის,სადაც განთავსებულია კარადები საჭირო რესურსებით,ნიჟარა ონკანით. ოთახში არ არის გამწოვი კარადა და ოთახი ნიავედება ბუნებრივად. ლაბორატორიაში არ არის საკმარისი რეაქტივები და ქიმიური ჭურჭელი ,რათა მასწავლებელმა შეძლოს ცდის ჩატარება. სკოლაში არ არის სპორტული დარბაზი, თუმცა ეზოში არის კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. დირექციის წარმომადგენლების თქმით,სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სპორტის მასწავლებელი უამინდობის დროს იყენებს სააქტო დარბაზს. სასურველია,სკოლამ უზრუნველყოს გამწოვი კარადის მოწყობა; ასევე ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო რეაქტივებითა და ქიმიური ჭურჭლით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ნათელი საკლასო ოთახების გარდა, სკოლაში არის სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სამასწავლებლო და სხვა. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის შექმნილია ყველა ძირითადი პირობა, გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკის, მასში არსებული რესურსების გამოყენებისა და სარგებლობის წესებს და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე,რომლის მიხედვითაც მასწავლებლებსა და თანამშრომლებზე წიგნები გაიცემა არაუმეტეს ერთი თვის ვადით;წიგნები მოსწავლეებზე გაიცემა:ა) გრიფირებული სახელმძღვანელოები - არა უმეტეს 1 წლის ვადით; ბ) მხატვრული ლიტერატურა – არაუმეტეს 2 კვირის ვადით;გ) დანარჩენი კატეგორიის საბიბლიოთეკო დოკუმენტი – არაუმეტეს 2 კვირის ვადით; ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა: პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი);

გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია დააბრუნოს ლიტერატურაბიბლიოთეკაში; იშვიათი წიგნები, ალბომები, დოკუმენტები, რომლებიც მხოლოდ ერთი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში სახლში წასაღებად არ გაიცემა;

სკოლის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინირებას ახორციელებს სკოლის ბიბლიოთეკარი მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.სკოლის ბიბლიოთეკარი: აწესრიგებს წიგნად ფონდს, ახდენს საბიბლიოთეკო ფონდის კატალოგიზაციას; ზრუნავს სკოლის ბიბლოთეკაში არსებულ რესურსებზე; აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას; უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ხარისხიანად, სრულად და დროულად; აცნობს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს; შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება; შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ჟურნალში წესების დაცვით.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, მეორე სართულზე მოწყობილია პანდუსი(შენობა ფერდობზეა აშენებული და მეორე სართულზე უკანა მხრიდან პირდაპირაა შესაძლებელი სკოლის შენობაში შესვლა), ადაპტირებული საპირფარეშო, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი. ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლაში არ არის შშმ მოსწავლე, კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მესამე სართულზე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა, კომპიუტერული ლაბორატორია მოაწყოს მეორე სართულზე. სკოლაში წლის ბოლოსთვის არის 5 სსსმ მოსწავლე, რომლებსაც აქვთ ენობრივი ბარიერი. მათთვის ყველა რესურსი ხელმისაწვდომია. სასურველია, სკოლამ კომპიუტერული ლაბორატორია განათავსოს პირველ სართულზე.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები: სკოლაში ეწყობა პრეზენტაციები, ინტელექტუალური თამაშები, ტრენინგები. მოსწავლეები ჩართული არიან ნიკო კეცხოველის სასკოლო პროექტში, ეკოსკოლაში, რომლის ფარგლებში განახორციელეს სხვადასხვა პროექტი: გარემოს დასუფთავების აქციები, პროექტი წყლის რესურსების გონივრულად გამოყენებისთვის, სკოლის ეზოს გამწვანება... პროექტის „კინო სკოლაში“ ფარგლებში მოსწავლეებმა მოაწყვეს კინოჩვენებები და დისკუსიები. თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილია ლიტერატურული კლუბი, რომელიც დგავს სასკოლო სპექტაკლებს, აწყობს ლიტერატურულ საღამოებს.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შენობა- ნაგებობების სქემა.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ბიბლიოთეკის დებულება;

აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, კერძოდ, კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 9 პერსონალური კომპიუტერით; სკოლის სხვადასხვა სივრცეში საჭიროებისამებრ განთავსებულია 24 ახალი ლეპტოპი, 2 პრინტერი და 2 პროექტორი. მუშა მდგომარეობაში და ორი პროექტორი. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს; სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების 2023-2024 სასწავლო წლის გეგმა.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში ელექტრონული კომუნიკაციისთვის რაიმე სახის ტექნიკა. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით დადგენილია სასკოლო სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში შემუშავებულია განრიგი და სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

ბალანსზე არსებული კომპიუტერული ტექნიკა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას დადგენილი საქმისწარმოების ინსტრუქციის მიხედვით. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მეშვეობით. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი, საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, რომელიც ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური აქტით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები, სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ჟურნალები აკინძულია. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. კერძოდ, e-flow, Office365, eSchool. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე კი - ინფორმაციებისა და დოკუმენტი მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ.).

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა კანონით გათვალისწინებულ ვადებში აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშვალდებულება, რომელიც მოიცავს ფინანსურ და ვერბალურ ნაწილს. სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში – ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ; ეს ანგარიშები უმაღლეს სტრუქტურებამდე მიდის ადგილობრივი სტრუქტურების გავლით.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი.

10 დეკემბრის ანგარიში;წერილი მაცნეს;

ანგარიში მარეგულირებელ ორგანოებს.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელშიც

გაწერილია ვიზიტორებისა და შიდა შეხვედრების, გარე შეხვედრებისა და აქტივობებში ჩართულობის, მოტივაციის ამაღლებისა და ინიციატივების ხელშეწყობის, შიდა და გარე კომუნიკაციის (მოსწავლეებთან, მშობლებთან...) აქტივობები, მექანიზმები და სხვა ძირითადი საკითხები. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: საინფორმაციო შეხვედრები (როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე), ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო ზარი, სატელეფონო შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა და სოციალურ ქსელი. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლას აქვს მასწავლებელთა მესენჯერის ჯგუფები, რომლებიც საუკეთესო საშუალებაა სიახლეების გასაცნობად და სწრაფი კომუნიკაციისთვის. სკოლას აქვს ვებ გვერდი.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხს აგებს ინფორმაციის განთავსებაზე მის ვალიდურობასა და უტყუარობაზე. დირექცია თავის მხრივ ეყრდნობა ამ ინფორმაციის დამადასტურებელ მასალას, იქნება ეს ფოტოები, სიგელები, დიპლომები თუ სხვა.

სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების 2023-24 წლის გეგმა.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ უკუკავშირს იღებს კითხვარებიდან, მშობელთა კრებებიდან, სოციალური ქსელიდან, მესენჯერ ჯგუფებიდან. კლასის დამრიგებლების მიერ ხდება ინფორმაციის გადასინჯვა, დირექციის წარმომადგენლებთან ერთად გამოწვევების შესწავლა. მაგალითად, სკოლამ ჩაატარა კვლევა, თუ რამდენად კარგად იცნობდნენ მშობლები თავიანთ შვილებს და რა საკითხზე სურდათ შემდგომი შეხვედრების ჩატარება. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. ამ უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის მიხედვით დაიგეგმა შემდგომი აქტივობები. სკოლაში გამოყოფილია მშობლებელთა ვიზიტისთვის დღე - პარასკევი.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი

<https://skolebi.emis.ge/schools/1329?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>

რომელზეც ქართულ ენაზეა განთავსებული ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ვებ გვერდი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი სკოლის შესახებ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიუჯეტი. ვებ გვერდზე ჯერ არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანგარიშები. სასურველია, სკოლამ გონივრულ ვადაში ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ამსახველი ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის/ურთიერთობის წესი.

ვებ გვერდის ბმული

ფეისბუქ გვერდის ბმული

მშობლებთან ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი

ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.

მშობელთა კრების ოქმები.

ინფორმაციის დაცვის მექანიზმი

საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ბრძანება N2-10

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თითოეული სტრუქტურა, სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას დირექციას საჭირო შესასყიდის შესახებ. ხარჯვით ნაწილში დაგეგმვა ხდება მონიტორინგის საფუძველზე, რაც მოიცავს სკოლის თითოეული კათედრის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, ბიბლიოთეკარის, ასევე სკოლის ექიმის, ტექნიკური პერსონალის ჩართულობას. მათ მიერ სკოლის დირექციას წარედგინება მომდევნო წლის განმავლობაში საჭირო რესურსების შეძენის მოთხოვნა, რომელიც მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაშია მიღებული. ბიუჯეტის დაგეგმვისას, ასევე, გათვალისწინებულია გასული წლების გამოცდილება შესყიდვების მიმართულებით. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება: მისი 87% გათვალისწინებულია ხელფასებზე, 13 % გადანაწილებულია ხარჯებში, მათ შორის შტატგარეშე პერსონალის ხელფასებსა, სხვა საქონელსა და მომსახურეობაზე, საოფისე ხარჯებზე; 3 % გათვლილია სკოლის მოვლა -პატრონობაზე. წლის ბოლოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს. წლის ბოლოს ასევე წარდგება წლიური ფინანსური ანგარიშგება განათლების სამინისტროსთან.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. შესყიდვების გეგმა მტკიცდება არაუგვიანეს 20 ნოემბრისა და ხდება ePLAN-ში ატვირთვა და რეგისტრაცია. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ePLAN-ში რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. შესყიდვების გეგმის შემუშავებამდე სკოლის მიერ ხორციელდება რეალური საჭიროებების შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის თანამშრომლებისგან ოფიციალური ფორმით მიღება (შესაბამისი დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით), შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების საჭიროების შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავება. კერძოდ, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები აკეთებენ მოთხოვნას, თუ რა სჭირდებათ შემდეგი სასწავლო წლისთვის, რის საფუძველზეც შესაბამისი პირი გააკეთებს ანალიზს (გადაამოწმებს ინფორმაციას ამა თუ იმ საქონლის/მომსახურების შესყიდვის რეალური საჭიროება დგას თუ არა) და ანალიზის საფუძველზე, სკოლის დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს შემდეგი წლისთვის სკოლის შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების სავარაუდო საჭიროებების შესახებ. ბიუჯეტი 10 დეკემბრამდე მტკიცდება დაგეგმვა ხორციელდება გამოკითხვისა და გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით: დირექტორის ინფორმაციით, გამოიკითხება დირექტორის მიერ კათედრის ხელმძღვანელები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის ხელმძღვანელების, სპეცმასწავლებლების, ბიბლიოთეკარის, ექიმის, თვითმმართველობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბუღალტერთან ერთად განიხილება ბიუჯეტი და მომზადდება სამეურვეო საბჭოსთან წარსადგენად. ფინანსების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით გეგმავს

ფინანსური რესურსების გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები დაგეგმილ ბიუჯეტში. დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგება და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი

შესყიდვების შიდა წესი.

შესყიდვების საპროგნოზო გეგმა და ფაქტობრივი გეგმა დამტკიცებული.

10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში

ოფიციალური დოკუმენტი შესყიდვის გეგმის შემუშავებამდე, სკოლის საჭიროებების

მტკიცების სამსახურებრივი ბარათი სკოლის საჭიროების შესახებ;

ბაზრის კვლევისა და შესყიდვის საჭიროების სამსახურებრივი ბარათი;

სახელმწიფო შესყიდვის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დამტკიცებული მოსწავლეთა რეფერირების წესი. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. გასაჩივრების დეტალური პროცედურები. სკოლა უფლებამოსილია დაადგინოს და გაატაროს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული ხასიათის, იქნება სამართლიანი და გონივრული. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს ყველა უფლებით, ჩაერთონ ტოლერანტული კულტურის ხელშემწყობ ღონისძიებებში. ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც საჭიროა ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობისთვის. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის უფლებების გონივრულ და პროპორციულ შეზღუდვას. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებათა გამო. შინაგანაწესი, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებაა უფლებების ცოდნისა და დაცვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო,

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა თითოეულ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს კანონმდებლობის შესაბამის გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულება მშობელთან ფორმდება მოსწავლის ჩარიცხვისას და ძალაშია სწავლის დასრულებამდე ან მოსწავლის ამორიცხვამდე/სტატუსის შეჩერებამდე, რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების გადაცემაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

რეფერირების წესი.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

გასაჩივრების დეტალური პროცედურები

შინაგანაწესი

თვითმმართველობის დებულება

კლასის დამრიგებლის ოქმები.

მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საქმისმწარმოებელი), რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. პირველკლასელთა ადრეული რეგისტრაციის პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი ვადების გათვალისწინებით. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მათ შორის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილი კლუბები: ლიტერატურის, სამოქალაქო განათლების და დებატების. კლუბის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სასკოლო საზოგადოებაში. მოსწავლე მიმართავს გაწევრიანების სურვილით, რის შედეგადაც კლუბის ხელმძღვანელი რთავს საკლუბო აქტივობებში. სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით ფასიან მომსახურებას.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს, teams-ის პლატფორმას. დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ. ექსპერტების მიერ ნანახი ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ჩარიცხვა ამორიცხვის სტატუსის შეჩერების ბრძანებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები თვითმმართველობის ოქმი კლუბების შექმნაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამეა

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
